წ. I 1915 წ.

პარასკევი 17 აპრილი

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ...
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 59 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 59

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო"

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:
ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

მეუღლე კესარია ივანეს ასული, შვილებით: დალმატი, შუშანიკა, ფაცია და ნიკოლოზ გალდავები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს 18 აპრილს, სოფელ ღანირში წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველის ძვირფასი მეუღლის და მეორეთა დაუვიწყარი მამის

მღვდელი ნესტორ გალდავას

სულის მოსახსენებლათ. 1—1 160

წარმოდგენა დაკლებულ ფასებში
ქუთაისის თეატრი.
ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ, შაბათს, 18 აპრილს,
წარმოდგენილი იქნება მეორედ ცნობილი პიესა ჰაუპტმანისა
— დაძირული ზარი —
ზღაპარი 5 მოქ. თარ. ინ—ანისა.
მონაწილენი ქალნი: გორდელი ქს., მდივანი მარო, ქილარჯიშვილი მარგ., ჯავახიშვილი ნატ. ვაჟნი: არადელი-იმხნელი გ., მგალობლიშვილი ალ., მურუსიძე ანდ., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ა., ჩხეიძე დ.
დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე. ფასები დაკლებულია.
რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.
ა ნ ო ნ ს ი: მზადდება ალ. ყალაბეგიშვილის ბენეფისი.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის
„ძმათა პასხალიდის"
აბრეშუმის თესლი
უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში
ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;
ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში და ახალსენაკში ილია ფაკიძის მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.
თ. 69.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, ტფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სასწავლო საკანცელარიო ნივთები.
— კატალოგები უფასოთ — თ.

განცხადება.
ვისაც სურს შეიძინოს კარგი ღირსებისა და ბევრი აბრეშუმის თესლი უნდა მიმართოს ნიკოლოზ ბურასს მთელს სპარსეთში, კავკასიასა და თურქესტანში ცნობილ ფირმას. თესლი შემოწმებულია მიკროსკოპიული საშუალებით „პასტერის" სისტემით და წონით 6 მისხ. თითოეული კოლოფი.
ვ ი მ ე დ ო ვ ნ ე ბ, რომ ბ.ბ. მეაბრეშუმეები დარჩებიან სრული კმაყოფილი, თუ უკეთუ შეიძენენ ამ ფირმის თესლს.
ფასები ზომიერია.
იყიდება ნარდათ და ნაწილათაც. მისამართი: მიხეილის ქუჩა
მმ. ადამიძის მაღაზიაში, ქუთაისში.
10—8—149. პატივისცემით ნიკოლოზ ბურასი.

ელექტრო-თეატრი „რ ა დ ი უ მ ი.
ხუთშაბათიდან, 16 აპრილიდან, ახალი საუცხოვო პროგრამა.
I. რუსული სამხედრო ქრონიკა. გამოც. სამხ. კინემატ. განყოფ. სკობელევის კომიტეტისა, რომელიც მისი იმპატ. უდიდ. მფარველობის ქვეშ იმყოფება. 5 სერია.
II. რ ა ც ა რ უ ს ი ქ ა ლ ი.
III. სენსაცია! სენსაცია! მეფე, კანონი და თავისუფლება. სენსაც. დრამა 4 ნაწ. ლეონიდ ანდრეევისა. მონაწილეობს გამოჩენილი მსახიობი ქალი ქ-ნ ჟიხოვევა.
რადგანაც ამ სურათების შეძენა ძვირათ დაგვიჯდა, ფასები მომატებულია. ლოჟა—14 შ.; 1 ადგ.—3 აბაზი; 2 ადგ.—2 აბაზი; 3—5 შაური. მოსწავლეებისთვის ფორმის ტანისამოსში მეორე ადგილი 5 შ.
დასაწყისი 1 სეანსისა—$6^{1}/_{2}$ ს., 2—8 ს., 3—$9^{1}/_{2}$ ს. და 4—11 საათ.
ანონსი: ორშაბათიდან, 20 აპრილიდან, ნაჩვენები იქნება სენსაციური და ჯერ არ ნათამაშები სურათი. 1) „გარყვნილი დედის ქალი". მხატვრული და იშვიათი დრ. 4 ნაწ., ცნობილ მსახ. ქალის ცხოვრებიდან. უმთავრეს როლს შეასრულებს გამოჩენილი მსახ. ქალი ნატალია ივანეს ასული ტამარო. მონაწილეობენ პეტროგრადის თეატრის გამოჩენილი მსახიობები. ჩვენი დღეების საქვირველებანი. 2) „პერემიშლზე ყუმბარების დაშენა რუსის არტილერიისაგან". 3) პერემიშლის აღების გამო სამადლობელი პარაკლისის გადახდა წითელ მოედანზე.

დაიბეჭდა და იყიდება კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)
„НОВОЕ СЛОВО"
ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.
თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

ქუთაისის მომხმარებელთა საზოგადოების „კოოპერაციის" გამგეობა,
თანახმათ საზოგადო. კრების დადგენილებისა, ახლო მომავალში აპირებს ფურნის გახსნას. გამგეობა მოუწოდებს მცხოვრებთ წევრებათ ჩაეწერონ დასახელებულ საზოგადოებაში და ხელი შეუწყონ მის აღორძინებას.
წევრებათ მიიღებიან ქ. ქუთაისისა და ქუთ. გუბერნიის მცხოვრებნი ორივე სქესისა და აგრეთვე ყოველგვარი საზოგადოებანი, არტელები, ამხანაგობანი, სკოლები, საავათმყოფოები და სხვა. საწევრო გადასახადია 1 მანეთი, პაი ღირს 5 მ. როგორც წევრთა ჩაწერა, აგრეთვე პაების შეძენა შეიძლება დავით ჩადუნელთან, შავი ქვის მრეწველთა საბჭოში (თეატრის პირდაპირ), დილის 9—3 საათამდი.
3—2—უფ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

კბილის ექიმები
მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.
დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. ტფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

გამოცდილ სტუდენტთა ამხანაგობა
ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასისათვის. და ყველა საგანში. ინჟინრის ქუჩის გადასახვევი, სახლი ანდრეევისა, ქალთა უფასო სასწავლებლის ახლოს. თ. ჯ.

გამოცდილი რუსი მასწავლებელი ქალი
სპეციალისტი რუსულსა და მატემატიკურ საგნებში ამზადებს ეგზამენებისა და ხელმეორე გამოცდისათვის ყველა კლასის მოსწავლეებს. მისამართი: კაზაკოვის ქუჩა, სახლი ცნობილაძისა ბინა მასწავლებელ ფიოლკოვისა. 3—2

ჯარისკაცის ილია ჯაფარიძის მეუღლემ
დაკარგე
თხოვნა სამხედრო უფროსის სახელზე დაწერილი და ოთხი შვილის წლოვანების მეტრიკა. მპოვნელს ვსთხოვს ეს დოკუმენტები გადასცეს „სამშობლოს" რედაქციას. 3—1—უფ.

# ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**პეტროგრადი.** 15 აპრილი. მის იმპერატორობითი უდიდებულესობის სასახლის მინისტრის ოფიციალური დეპეშა. მის იმპერატორობით უდიდებულესობას ომის საჭიროებისთვის შეწირულებანი მიართვეს: აზნაურობამ—25000 მან., საგუბერნიო ერობამ—15,000 და კამენეც-პოდოლის სამაზრო ერობამ—5000 მან. მაზრებიდან ჩამოსულ სოფლის მამასახლისებმა და გლეხებმა ხელმწიფე იმპერატორს პურ-მარილი მიართვეს. კერძო პირთა და დეპუტაციების მიღების შემდგომ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა ტაძარში მოვიდა იმ დროს, როცა ავსტრიელები კამენეც-პოდოლს ყუმბარებს უშენდენ. მცირე პარაკლისის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილინება და სასწაულთ მოქმედ ხატებს ემთხვია ტაძრიდან გამოსვლისთანავე ეპისკოპოზ მიტროფანმა მისი უდიდებულესობა ყეზანის ღვთისმშობლის ხატით დალოცა, აქვე პოდოლის ეპარქიის სამღვდელოებამ მის უდიდებულესობას ომის საჭიროებისათვის 10,000 მ. მიართვა. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ავტომობილით ძველ ხეივანზე გაისეირნა ქალაქის კედლამდი, სადაც ავტომობილიდან გადმობრძანდა და ქალაქის კედლიდან ძველ ციხე-სიმაგრეს ათვალიერებდა, რომელიც, მიუხედავათ ავსტრიელების არტილერიის სროლისა, უვნებლათ გადარჩენილიყო. მისმა უდიდებულესობამ რკინის გზის სადგურის მოედანი გაიარა, სადაც თავმოყრილი ჯარი დაათვალიერა, შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა ლაზარეთი ინახულა, რომელიც გლეხების ხარჯით არსებობს. მის უდიდებულესობას ქალთა ლაზარეთის წარმომადგენელი გუბერნატორის მეუღლე გრაფინია იგნატიევისა და ლაზარეთის ადმინისტრაცია შეხვდა. დაჭრილთა დათვალიერების. შემდეგ მისმა უდიდებულესობამ რკინის გზის საავათმყოფო დაათვალიერა, სადაც მძიმეთ დაჭრილი აფიცერი ინახულა შემდეგ მისმა უდიდებულესობამ გუბერნატორს მადლობა გადაუხადა წესრიგის კარგი დაცვისათვის და უბრძანა ყველა სასწავლებლების მოწაფეები სამი დღით სწავლისგან გაეთავისუფლებინათ. საღამოს ექვს საათზე სადგურ პროსკუროვზე გაემართა. მის უდიდებულესობას ქუჩებზე ხალხი აღფრთოვანებით უხვდებოდა.

### ოსმალეთის ასპარეზი.

**ლონდონი.** 15 აპრილი. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ, რომელმაც მიუვალ ადგილებში მთელი დღე გასტანა, გალიპოლის ნახევარ კუნძულზე გადმოსხმული ჯარი ფლოტის მარჯვე დახმარებით დაჭერილ პოზიციებზე გამაგრდა. ფრანგებმა 500 დაატყვევეს.

ქაირიდან იტყობინებიან, რომ თანახმათ გამოქვეყნებულ ოფიციალური დეპეშისა, მოკავშირეთა ძალები დარდანელის სრუტეს ორთავე მხარეზე ხელის შემწყობ პირობებში გადმოსხეს. მრავალი ტყვე წარმოიყვანეს. ჯარი წინ მიიწევს.

## სხვა და სხვა ამბები.

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.)

**ლიბავა.** 15 აპრილი. ქალაქის საბირჟო კომიტეტმა ლიბავაში თავისუფალი ნავთსადგურის დაარსების შესახებ შუამდგომლობა განაახლა.

**გომელი.** 15 აპრილი. ქალაქის პირის სოფელ სევრიუკს ცეცხლი გაუჩნდა. 200 სახლი დაიწვა, მრავალი საქონელი და ქონება.

**მეზენი.** 15 აპრილი. დაპატიმრებულია ნორვეგიის გუბერნატორის შვილი ინჟინერი მუნტე ფონ მორჩენსტიერნი, რომელსაც ეჭვით ჯაშუშობა ბრალდება. იგი მსახურებდა ვერფ კოკუეში, სადაც შვეციის წყალქვეშა ნავებს და სხვა სამხედრო გემებს ამზადებდნენ. პრესა მთავრობას უსაყვედურებს სამხედრო სამსახურში უცხოელთა მიღებისთვის. დაპატიმრებული გემების მოხაზულ ნაკვთების მითვისებაში გამოტყდა, რომელიც თავს უვიცობით იმართლებს. ნორვეგიის საზღვაო უწყების უფროსმა განაცხადა, რომ

ნორვეგიის საზღვაო მთავრობას დაპატიმრებულთან არავითარი დამოკიდებულება არ ქონდა და არც იცნობდათ.

**ლონდონი.** 15 აპრილი. ექიმების შემოწმებით, ამას წინათ მომხდარ ბრძოლის შემდეგ, კანადის ჯარისკაცები ჭრილობებისაგან კი არ გადაიცვალენ, არამედ მტრის მიერ ნახმარ მოსაწამლავ გაზისაგან. თემთა პალატის სხდომაზე ტყვე ინგლისელებისადმი გერმანელების ცუდი მოპყრობის შესახებ მსჯელობის დროს ასკვიტმა სთქვა: ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ გერმანელების ასეთი ულმობელი და შეუბრალებელი მოპყრობა, რომელსაც ტყვე ინგლისელებისადმი იჩენენ. ომის შემდეგ რითაც შევძლებთ დამნაშავენი უნდა სასტიკათ დავსაჯოთ.

**სტოკჰოლმი.** 15 აპრილი. შვეციის გემი „ცენტრიკი", რომელიც ინგლისისთვის ქვანახშირით იყო დატვირთული, ჰოლანდიის კუნძულებთან ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა. ინგლისიდან შვეციას მომავალი ქვანახშირით დატვირთული რამდენიმე გემი გერმანელებმა დაიჭირეს. შტუტგარტიდან იტყობინებიან, რომ გუშინ დილით ფრანგების პილოტმა ობერნდორფზე გადაიფრინა და ზარბაზნების მომზადებელ მაუზერის ქარხანას ყუმბარები ესროლა, მოკლულია ექვსი და ქარხანაც დაზიანდა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ავსტრიის მთავრობას განზრახვა აქვს სამხედრო ბეგარის ვადა გაადიდოს, რომელსაც ყველა კლასი მოიხდის წლოვანებით 18—50 წლამდი.

—

გუშინ სენატში გამოირკვა კარაფა დ' ანდრიასი და თავ. ბიულოვის თათბირის შინაარსი. ბიულოვს შემდეგი უთქვამს:

„იტალიასა და ავსტრიის შორის მოლაპარაკება ტლანქათ მიდის, ასე რომ შესაძლებელია მოლაპარაკებამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიოს, რაც გერმანიისთვის დასაღონი იქნება. ყოველ შემთხვევაში, თუ სამწუხაროთ იტალიას ჰუნგრეთთან ომი დასჭირდა, მე დარწმუნებული ვარ, რომ გერმანია ავსტრო-ჰუნგრეთისადმი ბოლომდი შეასრულებს თავის მოვალეობას.

—

იტალიის ელჩი ტიტონი პარიზში იტალიასა და სერბიას შორის შეთანხმების საქმის მოგვარებას ცდილობს. უმთავრესი პირობა ამ შეთანხმებისა შემდეგია: იტალია სერბიას ხელს არ შეუშლის ადრიატიკის ზღვაზე გამოვიდეს, იმ პირობით, რომ ზღვის პირის ხაზი გამაგრებული არ იქნება. ადგილობრივი გაზეთები დარწმუნებული არიან, რა წამს ეს შეთანხმება მოხდება, იტალია დაუყოვნებლივ გამოვა.

—

ადგილობრივი გაზეთი „ნიცი-ნიცი" იაპონიასა და ჩინეთის შორის ჩამოვარდნილ მოლაპარაკების დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს და მთავრობას ჰკიცხავს, რომ მას სამხედრო ძალა მოეპოვება და მითი საჭირო დროს კი ვერ სარგებლობს. იმართება მიტინგები იმ მიზნით, რომ მთავრობა აიძულონ ჩინეთის წინააღმდეგ აქტიურათ გამოვიდეს. სახალხო დიპლომატიის „კავშირი" ჩინეთისგან გადაჭრილ პასუხს მოითხოვს. გარეშე საქმეთა მინისტრს ამის შესახებ ფელდმარშლებთან იამაგატასა და ოიამასთან მოლაპარაკება ჰქონდა.

## მორიგი ძირითადი საკითხი.

(დასასრული. იხ. „სამშობლო" № 58).

„ვენის კავშირმა მხოლოდ „სამღვთო კავშირი" მოგვცა. სამღვთო კავშირი, სწერს დოვერ ვილსონი, ისეთი გამაფრთხილებელი მოვლენაა, რომელიც ჩვენ არას დროს არ უნდა გვავიწყდებოდეს. იგი წინ გადაეღობა კაცობრიობის პროგრესს, ვინაიდან ის ისეთი ძალისგან იყო შექმნილი, რომლებიც მტრულათ უყურებენ ნაციონალ დემოკრატიულ იდეებს. ახლა კი აუცილებელია ამ იდეების უფრო ვრცლათ განვითარება; და მხოლოთ ამ ნაციონალურ-დემოკრატიულ იდეების სავსებით განვითარების შემდეგ ვიხილავთ ჩვენ მესამე დიდებულ იდეის—ინტერნაციონალიზმის — ცხოვრებაში განხორციელებას".

აქედან ნათლათ ჩანს, რომ ისტორიულ პროცესში ნაციონალური იდეა ყოველთვის დაკავშირებულია ან არისტოკრატიულ ან დემოკრატიულ იდეებთან და მისი მნიშვნელობა სწორეთ იმაზეა დამოკიდებული, თუ რაგვარ იდეის დროშის ქვეშ გამოდის ის: ვისი დროშის ქვეშ იყრის თავს ნაცია, ერი და საბრძოლველათ გამოდის—არისტოკრატიის თუ დემოკრატიის. თუ დემოკრატიის—მაშინ ის პროგრესის გზაზე დგას, წინ მიდის, ხოლო თუ არისტოკრატიის—მაშინ ის პროგრესის მტერია, რეგრესს ანუ რეაქციას ემსახურება.

აღსანიშნავია აგრეთვე, ვილსონის აზრით, ის მოვლენაც, რომ ნაციონალური იდეა ისტორიაში დღემდე ორგვარი სახით გამოდის.

ერთია მიმხდომი ნაციონალიზმი, ხოლო მეორე თავდამცველი.

პირველი ხვედრია გაბატონებული ერების, ხოლო მეორე კი დამორჩილებულების; პირველი დროშაა ყოველთვის და ყველგან გაბატონებული კლასების, მეორე კი—თავდაცვის ნაციონალიზმი — დემოკრატიის პოლიტიკური პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია. „უბედურება მხოლოთ იმაშია, ამბობს ვილსონი, რომ თავდაცვის ნაციონალიზმიც ხშირათ, როგორც კი შესაფერ პირობებს იშოვის, მიმხდომ ნაციონალიზმათ იქცევა ხოლმე". ნაციონალური იდეა, ვილსონის აზრით, მხოლოთ მაშინ არის ნაყოფიერი და პროგრესიული, როცა ის მიმხდომის ხასიათს ჰკარგავს.

მაშ გამორკვეული უნდა იქნას, თუ როდის და რა პირობებში ჰკარგავს ნაციონალური იდეა მიმხდომის ხასიათს, თუ გვინდა გავიგოთ როდის არის ის პროგრესიული. აი დასკვნა ყველა იმ დებულებებიდან, რომლებსაც ვილსონი განგვიმარტავს.

ამის გამორკვევას კი ჩვენ აქ ვერ შევუდგებით: ამისთვის ახლა არც დრო გვაქვს და არც ადგილი; ვიტყვით მხოლოთ, რომ ეროვნული იდეა იმდენათ არის პროგრესიული და საზოგადოებრივ ფორმათა განვითარების ხელის შემწყობი, რამდენათაც მისი მატარებელი დემოკრატია განსაზღვრულ ხანაში რევოლიუციონური და საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა.

საფრანგეთის მე-18-ე საუკუნის ბურჟუაზიული დემოკრატია ეროვნული იდეით იყო გატაცებული და მანამ ასრულებდა მოწინავის პროგრესიულ როლს, ვიდრე ის რევოლიუციის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა; მანამ მისი ნაციონალიზმიც რევოლიუციონური იყო. მარა მას შემდეგ, როცა მან ნაპოლეონი გაამეფა და არისტოკრატიის დროშა-მანტია წამოისხა, მისმა ეროვნულმა გატაცებამ მიმხდომი ხასიათი მიიღო და უცხო ერების ტირანათ გადაიქცა. ამ სახით რევოლიუციონურ-დემოკრატიულ-ნაციონალური იდეა თავის თავის წინააღმდეგობათ გადაიქცა. ევროპის ერების განმათავისუფლებელი ახლა მათი დამმონებელი შეიქნა.

შემდეგ ისტორიულ ხანაში ნაცინალიზმმა სხვა სახე მიიღო: ევროპის თანამედროვე დემოკრატიამ ის ინტერნაციონალური იდეის ფორმით წამოაყენა და ამ გზით ლამობს იგი „ეროვნების დაცვას". თავდაცვის ნაციონალიზმი ინტერნაციონალიზმის სახით აღსდგა! მარა ეს ცვლილება მოახდინა არა იმ ნაცინალისტურმა დემოკრატიამ, რომელმაც ჯერ ლიუდოვიკოვებს სამეფო გვირგვინი მოხადა და მერე ნაპოლეონები ტახტზე აიყვანა; არა, ეს დემოკრატია სხვა დემოკრატიაა, მან ევროპაში მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე წლებში იწყო ინტერნაციონალური კავშირის შეკვრა და ამით მან „მიმხდომი ნაციონალიზმი" სამუდამოთ უარყო, ხოლო „ეროვნული დაცვის" იდეა საქვეყნოთ აღიარა.

**დ—ელი.**

## რუსული პრესა.

ჯერ გარეშე ომი არ გათავებულა და „ჭეშმარიტი რუსები" შინაურ მტრებზე გასალაშქრებლათ ემზადებიან.

„რითი აიხსნება, რომ ჭეშმარიტ რუსთა კავშირის მოქმედებაზე დღევანდელ ომის დროს ცოტა რამ ისმის?"—კითხულობს გაზეთი „რუსსკოე ზნამია" და თვითვე იძლევა პასუხს:—ეს გარემოება აიხსნება ჯერ ერთი იმით, რომ „პატივის მოყვარე" ვიტესთვისა და სტოლიპინისთვის ჭეშმარიტ რუსთა კავშირის არსებობა ხელსაყრელი არ გამოდგა და ჭეშმარიტ რუსთა კავშირს სდევნიდენ, მეორე მიზეზი ის არის, რომ ჩვენ სხვასავით მევირაძლები არა ვართ და მესამე კიდევ ის, რომ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" მოვალეობაა მხოლოდ შინაური ბრძოლა აწარმოვოს. ჩვენ გამოვდივართ მხოლოდ მაშინ, როდესაც რევოლიუციისაგან სახელმწიფოს ხიფათი მოელის, როგორ ხიფათსაც ომის შემდეგაც უნდა მოველოდეთ „ქალაქთა და ერობათა კავშირისაგან". და მაშინ კი ჭეშმარიტ რუსთა კავშირი ერთი კაცივით გამოილაშქრებს და ძლევა-მოსილებას უჩვენებს უგნურებსაო".

—

შინაურ ომისთვის არა ნაკლებათ ემზადება „ზემშჩინა"-ც.

„ხალხის სულიერს და ფიზიკურ საყოველთაო დაძაბუნების შემდეგ, სოციალ... ალაპარაკდებიან ყიდები, კადეტები და სოციალ-დემოკრატები, ... მოურჩენელ ჭრილობებს ... გებენ და მთავრობას ჩვენგან გადებულ მსხვერპლმი მტყუნებას დაუწყებენ. გათავდება ბრძოლა გარეშე მტერთან და დაიწყება უფრო სასტიკი ბრძოლა შინაურ მტრებთან. ცენზურა აღარ იქნება და მთავრობა ხელფეხ შეკრული დარჩება. ამისთვის უნდა ვემზადნეთ, თორემ „დროებით შემოღებულმა წესებმა" ბეჭდვითი სიტყვის შესახებ ვაი თუ უარესი მდგომარეობა შექმნას, ვიდრე ეს იაპონიის ომის შემდეგ იყოთ".

## ქართული პრესა.

ჩვენ „არანაციონალისტებს" რომ ჩვენი ყოველივე უკუღმა ესმით, ეს არ გვაკვირვებს, ვინაიდან მაშ რა „არანაციონალისტები" იქნებიან, თუ განგაში არ დაჰკრეს და უიმისოდაც დაქვეითებულ ქართველ მშრომელ ხალხს გზა-კვალი არ აუბნიეს და თავს-ბრუ არ დაასხეს—თავის ბატონობის შესანარჩუნებლად, რასაკვირველია,—მაგრამ ჩვენებურ არანაციონალისტებისაგან გამონაყოფ „შადრევანელებსაც" თუ კითხვა არ ეცოდინებოდეთ და წაკითხულის აზრს ვერ გაიგებდენ, ეს კი აღარ ვიცოდით!..

ამას წინათ ჩვენს გაზეთში დაისტამბა ცნობილ ისტორიკოსის ბ-ნ თ. ჟორდანიას წერილი (№ 46). ეს წერილი ჯერ დამთავრებული არ არის და არც ჩამოთვლილია ის ჩვეულებანი, რომლის მომხრეც არის ავტორი და მასთან ერთად რედაქციაც. ეს წერილი მხოლოდ უტყუარი სურათია ჩვენის ხალხის სულისკვეთებისა და გამათრახებაა „უვიც ნასწავლებისა", რასაც ყველა ქართველი უნდა ჩაეფიქრებინა. მაგრამ „შადრევანელები" ალბათ ჯერ კიდევ ვერ გაქართველებულან, რომ ცილისწამებისა და გაუგებრობის ასეთ „შადრევანს" ისვრიან.

„რამოდენიმე წელიწადია, რაც ჩვენი დემოკრატიული ინტელიგენცია მედგრად იბრძვის მავნე ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ. დღემდის ყველანი ერთხმათ გაიძახოდენ: ქორწილება, ტირილი, დღეობები, მარჩიელობა-მკითხაობა და ბევრი სხვა რამ მავნებელია ჩვენი ხალხისათვისო. ციფრებით ამტკი-

## გიორგი მესამე.

დრამატიული ეტიუდი 4 მოქმედებათ უგან. თ-დ. გიორგი მიხეილის ძის შარვაშიძისა.

(შემდეგი იხ. „სამშობლო" 58-ე №)

**მეფე.** (მწყრალად) აჰყარეთ აბჯარი და გაუხსენით სახელო. (მისცვივდებიან)

**მესხი.** (ჩუმად) გაიხარენი კაპა! რა დაგემართა?

**შალვა.** არ შემიძლია.

**მესხი.** შალვა, რა ღმერთი გიწყრება?

**შალვა.** ვაჰმე, არ შემიძლია! ძმებო, დამკით მახვილი... გული გამიპეთ, არ შემიძლია, არა, არა!

**მხარგრ.** შეიშალე კაცო, ჰკუა დაკარგე!

**მეფე.** (გაჯავრებით) ნუ ყბედობთ მანდ, გახიეთ სახელო (ძალით გაუხსნიან სახელოს და დაინახავენ თამარის სამხრეს). ეს რა არის, მანდილოსნის სამხრეს იკეთებს? კარგი სამკაულია ვაჟკაცისათვის!.. აჩნია რამ ჰრილობა? (სიჩუმე) არ გესმით ჩემი სიტყვა? (მეფე თითონ აგლეჯს სამხრეს: თვალს მოავლებს და შეინახავს. შემდეგ შენიშნავს ჭრილობას. შალვა თავს ჩაღუნავს).
თავი ჩაღუნე? რის გეშინის ხომ არ გაქვს ბრალი?
ესე ჰრილობა თამაშში რამ მოგივიდოდა!
ბარემ გაბედე, უსირცხვილო მომაპყარი თვალი,
ავაზაკობას არ იცოდი ბოლოც უნდოდა?
უბედურო, სინდისის შენ გამყიდველო,
შენ გველის შვილო, შენ პირშავ და თვითონ გველო!
სად მოიპოვე ჯოჯოხეთის ესდენ მზაკვრობა,
რომ მოინდომე გამზდელისა მეფისა მტრობა.

**შალვა.** ჩემო ხელმწიფევ!

**მეფე.** სუ მეთქი! შე ცრუ, მოღალატე, ბოროტო სულო!
ვით არ გიწყდება ყელში ხმა ის გესლიანნი.
(იქ მყოფთ).
მოჰკიდეთ ჩქარა, გაიყვანეთ და საორგულო
დილეგში ჩასვით, რომ არ ნახოს ადამიანი.
რომ შორიდანაც არავის მოხვდეს მის მავნე თვალი,
თავსლაფ დასხმული, საზიზღარი და ყოვლად მყრალი!
ფუი კაცობა!.. გაათრიეთ... ფუი შერცხვენა. (გაჰყავთ. მეფე მარტო დიდის დუმილის შემდეგ სამხრეს დახედავს).
ეს რაღა იყო, ნამდვილია თუ მოჩვენება.
ჰგავს მართალია; მაგ მუხანათს თამარის სამხრე!
ამ საქმეშია ჭეშმარიტად ეშმაკს საფრთხე.
ვერ გამიგია, რა აზრია და საიდანა
უპოვნია მაგ შეჩვენებულს... მალავდა განა!
გავს თვითონ მისცა... მაგრამ რისთვის, რა მნიშვნელობით?
(დაფიქრდება... სამხრეს ჯიბეში ჩაიდებს)
ნუ თუ?... ოჰ ღმერთო, განმაშორე ფიქრი მაგმარი!
ვიდრე მანამდის ათასჯერაც მენახოს მკვდარი!..
განა მეფობას ვუმზადებ მას მამაშვილობით?
მაშინ წყევლისა ღირს ვიქნები ჩემის მუხთლობით.
არა!... თამარს აქვს და მე ვპოვებ იმ ღირსებათა,
რომელნიც ჰქონდათ დიდებულთა წინაპარებთა.
მაგაზე არის მომავალში ჩემი იმედი,
რომ დამიკვირდება, გამძლავრდება ივერთა ბედი. (მცირე დუმილი).
მაგრამ თუ ვერა? თუ არ ექნა უმანკო სული,
თუ არ გამოდგა გონიერი, ზეცით ცხებული,
და მის სხეულში, თუ ღვივოდეს ევისა ქალი,
და ნუთუ ვცდები მე, ვითა კაცი? ვაჰ, ჩემი ბრალი..
რა რიგ დასჯილი, დატანჯული მაშინ დავშთები!...
ჩემს საქართველოს ცოცხლად წავსწყმედ და მეც წავწყდები.

**ქეშიკ.** დედოფალი რუსუდან მობრძანდება. (უკუდგება. შემოდის რუსუდან მარტოკა, მხლებლებს კარებთან ხელით დაითხოვს).

**მეფე.** (წაიწევს სავარძლიდან) მობრძანდი დაო. (გადაეხვევიან ერთმანეთს). რას ნიშნავს ეგრე მოულოდნელად შენი მოსვლა, დაო ჩემო?

**რუსუდან.** ძმაო ბატონო! მოხდება ხოლმე, რომ დიდებულს მხედარსა, შორის გზის გავლასა შამბში გზა დაებნევა, და მაშინ უბრალო მეჯოგე ვინმეც რომ შეხვდეს, კვალზე გაიყვანს და შარაზე დააყენებს. დღეს მე გხლებივართ იმ მეჯოგის მაგივრად: გამიგონე და დამიჯერე.

**მეფე.** იგავებისა, დაო ჩემო, არა მაქვს თავი.
უბრალოდ ბრძანე: რად გჭირდების ამის იგავი?!
ლაშქრობის დროსა, თუ კი თამარ მარტოდ დაგდე
და შენი სიტყვა ჩემთან ვერვის თუ ვერ გაანდე,
საიდუმლო რამ შეგიტყვია სთქვი მაშ: მოველი.

**რუსუდან.** საიდუმლოა დიახ, სწორედ ჩემი სათქმელი!..
საქართველოსი დიდ თავადნი, სახელგანთქმულნი,
პატიოსანნი, დიდებულნი, ქვეყნის ქებულნი,
განსვენებულის, კურთხეულის შენის ძმის ძესა
ახლავან და შენ ამაშიდა ჰპოებ მიზეზსა
სდევნო ისინი, ვით მეკობრე პატივ ახდილი.
გინდა შეიპყრა, გსურს მალიად მათი სიკვდილი.
რა დაგიშავეს? შეგასმინეს რომ ღალატობენ?
მაგრამ არ იცი, ქვეყნის საქმე, რომ მასა გმობენ
ვინცა სჯობია, ერთგულია, ქვეყნის მსახური,
და ამ მდაბალსა გრძნობას ქვია სახელად შური.
და თუ კი გახდი შენ მტარვალად სხვისა შურისა,
მამულის შვილთა, უმანკოთა ჰირი წაჰკიდე,
მაშინ გეწვევა სულის შფოთვა უბედურისა,
და დაინგრევა შრომა შენი, ყველა სიკეთე.
გაფრთხილდი, მეფევ, გაფრთხილდი და დაფიქრდი ძლიერ.

**მეფე.** მესმის რუსუდან: მეცნიერი სიტყვა შენ მიერ,
მაგრამ რად მითხარ ეგ მოთხრობა მე სევდიანი?
რად მომაგონე, რომ მეცა ვარ ადამიანი.
ვაი თუ გული შემიწუხდეს და შემეცოდოს
საბრალოები, სინდისზე რამ არ დამედოს!
რა უყოთ, თუნდაც შეითქვეს მათ ორგულობა!
დანაშაულთა შენდობა ვცეთ, ეგ არს წყალობა.
ესა გსურს განა? ჰა, ჰა, ჰა, ჰა! რჩევა კარგია,
ჰა, ჰა, ჰა, ჰა, დედა-კაცი რა რიგ შმაგია!
ხელში ჩაუგდო მტრებსა თავი, რაც უნდა მიყონ,
და სახელმწიფო ნაწყვეტ-ნაწყვეტ კვლავაც გაიყონ!..
მარქვი, ვინ არის ის ჭკვიანი, რომ შეგაგონა,
ჩემი ღალატი, შეგიერთა და დაგიმონა?

**რუსუდან.** თქვენსა ღალატში ვერვინ გამრევს მე ხორციელი,
არც მეკადრება მე პასუხი ამაზე გრძელი!
და მოღალატე, ენის მთრევი, გარყვნილი სული
ეგებ კი გახლდეს და გეგონოს შენი ერთგული.
შენ ხარ ხელმწიფე, ივერთ მპყრობი, დია სვანი,
და შენს თავზედა ბატონად გყავს ჯავახიანი.

**მეფე.** რუსუდან—

**რუსუდან.** ის არის შენი ვეზირი და შენი მოძღვარი;
მისი განზრახვა, მისი აზრი, შენიცა არი.

**მეფე.** (გაჯავრებით) რუსუდან!

**რუსუდან.** გაჯავრდე, მეფეო, ამით უკან არ დავიხევი.
მეცა მაქვს ერთი ცხოვრებაში მოვალეობა.

**მეფე.** იცი კი რაა დედაკაცო, მოვალეობა?
ოჯახს ვერ უვლი, ყარიბივით კი დაეთრევი!
შენსა გაზდილსა, თვალის ჩინსა, თვალი დაუდგა...
შენ ეგ არ იცი... და სამეფო საქმეთ ერევი.
(რუსუდან შეკრთება).

**რუსუდან.** როგორ, თუ თვალი დაუდგა?
მეხი რუსუდანს კი დაეცემა!..

**მეფე.** (ამოიღებს სამხრეს და რუსუდანს მისცემს).
იცანი განა? აბა რომელსა ებნევა კვალი,
შენა თუ მე? მაშ გაიგე და კარგად ასწონე (პაუზა)
ესე სამხრე ჰქონდა ერთ ყმაწვილ კაცს მკლავზედ დაბმული...

**რუსუდან.** დედაო ღვთისა! რად არ გამითხრი შავ საფლავსა?

**მეფე.** ეგრეა დაო: დამიჯერე კარგსა და ავსა
სახელმწიფოში, მე განვაგებ შენზე უკეთად.
ხოლო შენ გხვდება საზრუნველი, ამაზე მეტად,
აღზდა, და მოვლა იმ ქალისა, რომლისა ხელში
იქნება ბედი საქართველოსი, აწ მომავალში,
(სიჩუმე. რუსუდან გაოცებულია. მეფე დიმილით განაგრძობს.)
ხომ გაგიგონია, დაო ნათქვამი:
როს ტაიჭი კლდეზე ავა,
ჯორი მინდორს გაჰქენდება,
ორნივ უმარგ დარჩებიან
მხედარს ვირი დასჭირდება!!
(რუსუდან მორჩილად სალამს მისცემს).

ფ ა რ დ ა.

(შემდეგი იქნება).

**უგ. თავ. გ. შარვაშიძე.**

ცებდენ, რომ ეს ზნე-ჩვეულებანი ჩვენს ხალხს ალატაკებს; ავალიანებს და სწავლა-განათლების გავრცელებასაც უშლის ხელსო. მაგრამ დღეს აღმოჩნდა, და ეს აღმოჩენა გაზ. „სამშობლოს" და მის თანამშრომელს თ. ჟორდანიას ეკუთვნის, რომ თურმე მავნე ზნე-ჩვეულებათა მოსპობით, ჩვენ ვსპობთ მთელი ერის სულს. ვინც ცრუ მორწმუნეობას ებრძვის, ის ქართველ ერს სახეს უკარგავს, ის ერის სულიერი მკვლელია. ჩვენი ნაციონალისტები, როგორც სჩანს სულ დაიბნენ, არ იციან სად გამონახონ სამშობლოს მტრები და თ. ჟორდანიას პირით ერის სულიერ მკვლელებს ეძებენ. ბ. ბ-ნო რად მიდიხართ ასე შორს? ჩაიხედეთ სარკეში და თქვენ იქ დაინახავთ ქართველ ერის ნამდვილ სულიერ მკვლელებს. განა თ. ჟორდანიას წერილი არ ამტკიცებს, თუ ვინ არის ერის არა თუ სულიერი, არამედ ფიზიკური მკვლელი?! („შადრ." № 17).

ჩვენ არ გვინდა შესაფერი სახელი ვუწოდოთ „შადრევანელების" ასეთ ამდაუბდას და მიუტევებელ ყოყოჩობას, ვინაიდან, მგონი, „პირჯვრის წერას" იწყებენ, ეროვნულ ნიადაგზე აპირებენ მოღვაწეობას და აღარ გვინდა კვლავ ეშმაკის ცხენზე შევსვათ...

როცა ბ-ნ თედო ჟორდანიას დანარჩენი წერილებიც დაიბეჭდება და ჩვენს აზრსაც გამოვსთქვამთ, მაშინ დავანახვებთ მკითხველებს, მართლაც ვინ არიან „ერის სულიერი და ფიზიკური მკვლელები". მანამდე კი გვიპატიებია „შადრევანელებისათვის" მათი უმეცარი, წინდაუხედავი და ბალღური მსჯელობა...

## დეპეში.

**სამშობლოს რედაქციას.**

სახელმწიფო სათათბიროს წევრის თ. გელოვანის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს ფოთის საქალაქო სამმართველომ თავისი შემადგენლობით, სხდომის გახსნის წინ პანაშვიდი გადაიხადა. ვუცხადებთ თანაგრძნობას მის მეუღლეს, ძმებს და ბიძას.

ქალაქის მოურავის თანამდ. დრ. ალმ. ტუღუშაძე.

# ახალი ამბავი.

ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობამ ძველი სენაკის საეზნაურო სკოლის რევიზორებათ დანიშნა ქუთ. ქართული გიმნაზიის მასწავლებლები სამსონ გიორგის ძე ყიფიანი და სამსონ ნიკოლოზის ძე დათეშიძე. ბ.ბ. ყიფიანი და დათეშიძე გუშინ თავის მოვალეობის შესასრულებლათ უკვე გაემგზავრენ.

✦ 15 აპრილს, სოფ. საქარაში მოხდა გამოცდები საქარის ამერიკული ვაზის სავარჯიშო სკოლის მოწაფეებისა. გამოცდებს დაესწრენ ქუთაისის მევენახეობისა და მეღვინეობის უფროსი სპეციალისტი კ. ბერეკაშვილი, მთავრობის აგრონომი ა. ვასილევსკი და სკოლის მზრუნველი ბ. პაკვალენი. გამოცდებმა კარგათ ჩაიარა. სწავლა დაასრულა სულ ათმა კაცმა.

✦ 20 აპრილს ქუთაისში გაიმართება „გვირილობა", რომლის შემოსავალიც მოხმარდება ჰლექიანთათვის საავადმყოფოების მოწყობას.

✦ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის გამგეობა სთხოვს ქუთაისის ქალაქის გამგეობას—გაუგზავნოს მას ქალაქის მიერ შეწირული ფულის ყოველივე ანგარიშები.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა კანტორა „როსიაში" მოტანილი შაბიამანი, რომელიც სხვა ქალაქში უნდა გაეპარებიათ,—დააკავა. ეს შაბიამანი მხოლოდ ქუთაისის გუბერნიის მევენახეებზე გაიყიდება.

✦ ქუთაისის კომერციული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას სურვილი აქვს მოიწვიოს თფილისიდან სავაჭრო სამრეწველო სკოლების ინსპეკტორი პ. მ. ვერხოვსკი, ქუთაისში საკომერციო სკოლის დაარსებისათვის სათათბიროთ.

✦ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეებს გამოცდები 22 აპრილს დაუსრულდებათ. წელს, მერვე კლასში ექსტერნათ ეგზამენს აბარებს სულ 8 კაცი.

✦ ქუთაისში ქალაქის გამგეობის მიერ გამოცემულია სავალდებულო დადგენილება ვაჭრებისა და ნოქრების ნორმალური დასვენების შესახებ. ამ სავალდებულო დადგენილების ძალით სავაჭროები უნდა იღებოდეს დილით რვა საათზე და უნდა იხურებოდეს საღამოს 7 საათზე. ამ დადგენილების აღსრულებაში მოსაყვანათ არჩეულია კომისია ვაჭრებისა და ნოქრებისგან, მაგრამ ამ ბოლოდროს ამ დადგენილებას თვით კომისიის წევრებიც არღვევენ და ხშირათ სავაჭროებს 9—10 საათამდის არ ხურავენ. ხოლო ქალაქის განაპირა ქუჩებში ხომ დუქნები 11—12 საათამდისაც არ იხურება.

✦ ამ ოთხი წლის წინათ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ გზათა სამინისტროში შუამდგომლობა აღძრა, რომ ნება დაერთოთ ქუთაისში ტყიბულის ლიანდაგის მერვე ვერსზე გაეკეთებიათ სამი გადასასვლელი, რომ სალორიის აგარაკის მცხოვრებლებს ქალაქში მიმოსვლა გაადვილებოდათ. გზათა სამინისტრომ ეს შუამდგომლობა გასული წლის უკანასკნელ თვეებში განიხილა და დაადგინა, რომ რკინის გზის მთავრობამ თავის ხარჯით გააკეთოს ორი გადასასვლელი. ყველამ იცის რომ სალორიის მცხოვრებლები უგზოობით დიდ გაჭირვებას განიცდიან, მაგრამ ჯერ სამინისტროს დადგენილება სისრულეში არავის მოყავს.

✦ ქართული გიმნაზიის და კლასიკური გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფეებს განზრახვა აქვთ აიდარ-ბეგ აბაშიძის მეთაურობით მოაწყონ ექსკურსია სამხრეთ-საქართველოში. პირველათ იგინი აჭარას დაათვალიერებენ.

✦ ჯარში გაწვეულ ჯარის-კაცთა ბავშვთათვის უფასო სასადილოს მომწყობმა კომისიამ მუშაობა უკვე დაიწყო. ყოველგვარი ცნობის შეკრება 25 აპრილისათვის უნდა დასრულდეს. ცნობები ბ. გუბერნატორს წარედგინება.

✦ როგორც სოფ. საქარიდან (შორაპნის მაზრა) გვწერენ, იქ შიმშილობას თავი უკვე უჩენია. ფუთი სიმინდი შვიდ აბაზათ ფასობს. სოფელში ღვინის ფასსაც აუწევია. მყიდველები დაიარებიან და კარგი ღირსების ღვინოში 40 მანეთამდი იძლევიან.

ამერიკული ვაზის საჩქოლემ თავის ღვინო სულ გაყიდა. ღვინო, როგორც შევიტყვეთ რუსეთის ქალაქებში იგზავნება!

✦ ქალაქის სანიტართა კომისიამ 13 აპრილს ოქმში შეუყენა გელათის ქუჩაზე დანიელ მოშას ძე ჩიკვაშვილი, მიხეილ რიჟინაშვილს და პარმენ კიკვაშვილს სანიტარული წესების დარღვევისათვის.

✦ **ქურდობა.** 6 აპრილს, ღამით ქურდებს გაუტეხიათ გეგუთის წმინდა-გიორგის ეკლესია; წაუღიათ ფულათ 1 მან. 50 კაპ. და სხვა და სხვა წიგნები, სულ 250 მ.

✦ 6 აპრილს, ღამით სოფ. მგანთაში გაუტეხიათ სავაჭრო ფილიპე ანდრიას ძე სულაბერიძისა; წაუღიათ 15—20 მანეთამდე ფულად. ამ საქმის გამო შეუპყრიათ იოსებ დუკას ძე და იონა ნიკოს ძე სულაბერიძენი.

✦ 31 მარტს სოფ. დიმში, გლეხს გიორგი სიმონის ძე სახტარაძეს ჯოხით მძიმეთ დაუშავებია ძეგრელი (სიმონეთის საზ.) გლეხი თეოფილე კვენეტაძე.

### თფილისი.

— ისიდორე რამიშვილს, პირველი დუმის დეპუტატს, როგორც გვატყობინებენ ნება მისცეს იცხოვროს მხოლოდ თფილისის გუბერნიაში გარდა ქ. თფილისისა. ის ერთხანს იყო გადასახლებული ასტრახანის გუბერნიაში და ამ ბოლო დროს იქიდანაც დევნილი ცხოვრებდა ქ. სამარაში.

— სიკვდილით დასჯა. 14 აპრილს, საღამოს 3 საათზე დაახრჩვეს ტერ-ოგანოვი, რომელსაც სამხედრო საოლქო სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯა ჰქონდა მისჯილი.

### ფ ო თ ი.

— ფოთის მომხმარებელმა საზ. „ეკონომიამ" კოოპერატიული ფურნე, რომლის გახსნას მცხოვრებნი სიამოვნებით მიეგებენ, რადგან ამით აილაგმება მეპურეთა თავგასულობა და მასთან კოოპერატიული ფურნეც საგანგებოთ არის მოწყობილი და მშვენიერათაც აცხობს პურს.

### ბ ა ქ ო.

— ბანკის გაძარცვა. 9 აპრილს, ბაქოს საოლქო სასამართლომ გაარჩია ენზელში (სპარსეთი) ბანკის გაძარცვის საქმე. ეს ბანკი გაძარცვეს შარშან 1 ივნისს. ამ საქმის გამო დაატუსაღეს ექვსი მძარცველი: სულეიმან ლორთქიფანიძე (დევბზუის მთავრობის მამასახლისათ ნამყოფი), სიმონ ჟღენტი, პართენ შალამბერიძე, სერგი ლეჟავა, გრიგორი სურმანიძე და რაჟდენ დანელია. სამსჯავრომ ყველა დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა ყოველივე ღირსება-უპირატესობის აყრა და თოთხმეტ-თოთხმეტი წლის კატორღა.

### ბ ა თ ო მ ი.

11 აპრილს ბათუმის სადგურზე მივიდა ერთი ქართველი მგზავრი და მებარგეს გადასცა ერთი ყუთი. გასამრჯელოთ მისცა სამი მანეთი და დაავალა, რომ ყუთი ბაგაჟათ მისცეს სამტრედიამდი. თითონ მგზავრი მესამე კლასის დარბაზში შევიდა. იქ მდგომ ჟანდარმს უცნობი მგზავრის სიჩქარე და აღელვება არაჩვეულებრივათ აჩვენა, ამიტომაც უბრძანა მებარგეს დაიჭიროს ვინც მიაკითხავს ბაგაჟის კვიტანციას. კვიტანცია არავინ მოიკითხა. ყუთი მატარებლს არ გაატანეს, მატარებელის წასვლის შემდეგ გახსნეს და შიგ აღმოჩნდა ჯარისკაცის ცხედარი. რკინის გზის ექიმის სიტყვით ის მომკვდარა სახადით. ცხედარი შუაზე იყო გაჭრილი. როგორც ირკვევა მიცვალებული ჭირისუფლებს მოუპარავთ სასაფლაოდან და სურდათ მიებარებინათ სამშობლო სოფლის მიწისათვის. სურათის მეოხებით მიცვალებული იცნეს, ის აღმოჩნდა სამსონ გოთუა, რომელიც გარდაიცვალილა 5 აპრილს და დაუსაფლავებიათ 8 აპრილს სამხედრო სასაფლაოზე.

### კ ა ხ ე თ ი.

— ამ უკანასკნელ დროს ს. საქობოში ძალიან იმატა დაწვამ და გაკაფვამ, ურთიერთ შორის ზარალმა. ბოროტმოქმედთა ცუდმა საქციელმა ერთი ორათ გაუჭირა საქმე თავათაც გაძვალტყავებულ და ფეხ გამოცლილ ხალხს.

აპრილის 4-ს, ღამით, ათ საათზე ცეცხლი წაუკიდეს შიო ხუხიაშვილის სახლსა და მარანს, რომელსაც ზარალი აღმოუჩნდა ორასი თუმნისა, ამავე დროს ს. საქობოში მცხოვრებელ ალექსი ჯოხარიძეს, პავლე ჯოხარიძეს და ნიკალა სესიტაშვილს გაუკაფეს ვენახები, სამთავეს არანაკლები ნახევარი დესეტინისა.

## ცოტა რამ.

ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ამთვის დამლევამდე, სათადარიგო ჯარში ჩარიცხულ ყველა მასწავლებლებს გაიწვევენ. ამით ისედაც დაქსასულთ საგრძნობელი ძალა აკლდებათ. რა იქნება ამის შემდეგ? ბევრი რამ არის სავალალო, მაგრამ ყველაზე უფრო კი ორი რამ: პირველი ის, რომ სათადარიგო მასწავლებლების ადგილებს დაიკავებენ გამოუცდელი მასწავლებლები, რაიც საგრძნობლათ შეაფერხებს სწავლა-აღზრდის საქმეს. ამ ახალ მასწავლებლებს მით უფრო ესაჭიროებათ მოხვდნენ შეკავშირებულ ამხანაგებში, რომ მათზე იქონიონ გავლენა, რათა ჩვენ მრავალ ტანჯულ ენას შეუგნებელი აღმომფხვრელნი არ მოევლინოს და მრავალი კიდევ სხვაა მოსალოდნელი. საჭიროა ენერგიული მოქმედება, რათა გვეღირსოს **კავშირის** ნებართვა და მაშინ კი ასეთ რამეს ადგილი აღარ ექნება ჩვენს სკოლის ცხოვრებაში. მეორე კი სახელმძღვანელოების უქონლობაა ჩვენ სკოლებში—საჭიროა არსებულის შევსება-შესწორება და დანარჩენის კი გამონახვა.—ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმისათვის გურიის მასწავლებლები ემზადებიან და ამ დღეებში ყველასათვის ცხადი იქნება მათი მოქმედება. იმედია **ტ. კრახელი და კომპანია** (იხილეთ „განათლება № 1) ღონძლვა გინებას თავს დაანებებენ და ამ მნიშვნელოვან კითხვის გადაჭრაში ზურგს გაუმაგრებენ ხსენებულ მასწავლებლებს.

**ტ. ჭ—შვილი.**

## ქურდობა სამკითხველოში!

ქურდობა რომ საზოგადოთ საზიზღარი და აღმაშფოთებელი მოქმედებაა, ამაში ყველა მკითხველი დამეთანხმება, მაგრამ როდესაც ეს ბიწიერება ხდება ისეთ კულტურულს დაწესებულებაში, როგორც სამკითხველოა და ისეთ პირისაგან, რომელსაც აინტერესებს წაიკითხოს სტატია „Карлъ Каутскій о войнѣ" ხერსაკოვისა, ერთი ორათ აშფოთებს კაცს. მართალია, მიუხედავათ ჩემგან ყოველიყე კულტურული ზომების მიღებისა, ჩემდამი რწმუნებულს სამკითხველოში ქურდობა ვერ მოვსპე სავსებით, მაგრამ ასე თუ ისე ცოტათი ურიგდებოდი ამ გარემოებას, რადგან რომელიმე სურათებიანი ჟურნალის და დამატების დაკარგვა ნათელი დამამტკიცებელი იყო იმის, რომ ამას ჩადიოდენ ბავშვები, ბავშურის გულუბრყვილობით, რომელიმე ლამაზი სურათის ხათრით, მაგრამ დღეს ჩემს აღშფოთებას საზღვარი არა აქვს, როდესაც ქურდობა ჩადენილია სრულიად მომწიფებულ და შეგნებულის ადამიანისაგან. დიახ, კარლ კაუტსკის აზრი აინტერესებს შეგნებულს ადამიანს და ამ ადამიანმა ეს შეგნება იმით მოიხმარა, რომ ჟურნალ: „Голосъ минувшаго"-ს. მარტის ნომერში მთლათ ამოიღო ეს სტატია, რომელიც შეიცავდა ექვს ფურცელს და მით ჯერ გააფუჭა მთელი ეს ნომერი ჟურნალისა და მასთან მოუსპო დანარჩენ დაინტერესებულ მკითხველებს ხსენებულ სტატიის გაცნობის საშუალება. ამის შემდეგ, მიბრძანეთ ბატონებო, ვის უნდა ვენდო სამკითხველოში, თუ ასეთი ადამიანებიც ასე მოიქცევიან.

ქუთ. ქალაქის ბიბლიოტ. გამგე

**პელაგია ლორიას ასული.**

## უბედურება ს. უხუთში.

ქართულათ ნათქვამია: „სიფრთხილეს თავი არ ატკივდება"-ო. მართლადაც ყოველ შემთხვევაში და ყოველ ალაგს დაკვირვება და სიფრთხილე შეჰფერის ადამიანს. ხშირათ ამ დაუკვირვებლობისა და გაუფრთხილებლობის მსხვერპლი ხდება ადამიანი სოფლად თუ ქალაქად. ამის დამამტკიცებელია ერთი საშინელი და შემაძრწუნებელი ამბავი, რომელიც მოხდა ს. უხუთში გლეხის ლომიძის ოჯახში. ღამით, როდესაც უფროსებმა მოისვენეს, იქავ, საწოლთან პატარა ბავშის აკვანი დაიდგეს. გვერდით, სკამზე ანთებული ლამფა დასტოვეს.

შრომისაგან დაღლილებს ისეთი ღრმა ძილით ჩასძინებიათ, რომ ვერ გაუგიათ ლამფის გადმოვარდნა. ცეცხლი მოსდებია იქვე მდგომ აკვანს და საბრალო თვენახევრის ბავში ფერფლათ უქცევია.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ჯარში გაწვეულ იქნა დამწვარი ბავშის მამა. დარჩენ სახლში ცოლი და სამი პატარა ბავშები.

„უბედურ კაცს, ქვა აღმართში ეწეოდა"-ო, სწორედ ასე დაემართა ამ უბედურ ოჯახს.

ქმრის ომში წასვლის შემდეგ განვლო ერთმა თვემ, რომ უფროსი რვა წლის ვაჟი, როგორც პირველი—ცეცხლის მსხვერპლი შეიქნა. სიცივისაგან აკანკალებული მიჯდომია ბუხარს და ჩასძინებია; მას ტანთსაცმელზე ცეცხლის ნაპერწკალი დავარდნია. ბავშს გვიან გაუგია თავისი უბედურება და გარეთ გამოვარდნილა.

ცეცხლმა მაინც თავისი ჰქნა და უმანკო ბავში ფერფლათ იქცა. ამის შემხედვარე დედას ჭკუა შერყევია. მამა კი შორს იმყოფება და არც იციან, ცოცხალია თუ არა. ამ უბედური ოჯახის ორი პატარა ბავში უპატრონოთ ჰყრიან და კაცი არ არის, რომ დაეხმაროს.

რა ჰქნან უბედურებმა?

**თამარა აბდუშელიშვილი.**

### ცეცხლისაგან დამზღვევი საურთიერთო საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

კვირას, 12 აპრილს, ქუთაისის ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა ხსენებული საზოგადოების წევრთა კრება, რომელსაც დაესწრო 180-მდი წევრი. კრება გახსნა დილის თერთმეტი საათის ნახევარზე ზედამხედველი კომისიის თავმჯდომარემ ზ. მაჭავარიანმა და წინადადება მისცა დამსწრეთ კრების თავმჯდომარე და მდივანი აერჩიათ; კრებამ ერთხმათ დაასახელა თავმჯდომარეთ გრ. გველესიანი, მდივნათ კი ონ. სვანიძე. გასარჩევი კითხვები იყო: 1) დამტკიცება გასული წლის ანგარიშისა, 2) განხილვა მდგომარე 1915 წ. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვისა, 3) მოხსენება გამგეობისა ოპერაციების გავრცელების შესახებ, 4) გამგეობის ერთი წევრის არჩევა, დ. ჩიკვაიძის მაგივრათ, რომელსაც ვადა გაუთავდა, 5) ზედამხედველი კომისიის სამი წევრისა და სამი კანდიდატის არჩევა, 6) სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა. ანგარიშების წაკითხვის შემდეგ მიღებულ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება და გასული წლის ანგარიში დაამტკიცეს. მდგომარე 1915 წ. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაში ... მოიწვია მოანგარიშისა და ... მოებელის საკითხებმა; ... იყო, რომ ეს ორი თანამდებობა შეერთებულიყო და ერთისათვის მიენდოთ, რომელსაც მიეცემოდა წლიურად 600+500 მანეთი, ზოგი კი თხოულობდა ცალცალკე დარჩენილიყო და ბუღალტერისათვის დაენიშნათ 1000 მანეთი და 500 საქმის მწარმოებლისათვის; საკითხი გადაიდო კრების დამთავრებამდი კენჭის საყრელად. გამგეობის დანარჩენ თანამდებობის პირთა ჯამაგირები ძველებურად დარჩა; დარაჯს გ. მგალობლიშვილს 21 წლის პატიოსანი სამსახურისთვის მისცეს ერთდროული დახმარება 150 მან. დიდხანს გაგრძელდა აგრეთვე კამათი სხვადასხვა დ.-ქალ. ოპერაციების გავრცელების შესახებ, საზოგადოთ ავეჯეულობისა და მოძრავ ქონებათა დაზღვევის თაობაზე; ბევრმა გამოსთქვა წინააღმდეგობა ფოთისა და ზუგდიდის მამულების მიღების შესახებ, რადგანაც იქ უმეტეს ნაწილათ ხის შენობები არის, ცეცხლისაგან ხშირათ მოხდება ზარალიო, ამის გამო ბევრი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: ჯერჯერობით მიიღოს მარტო ქვის შენობები ქ. ფოთში და დააზღვევოს მხოლოდ სხვადასხვა დაწესებულებათა მოძრავი ქონება. ამის შემდეგ მოხდა არჩევნები; ზედამხედველი კომიტეტის წევრებათ კრებამ დატოვა ისევ ძველი წევრები, სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნენ ხმის უმეტესობით ფ. მგალობლიშვილი და ბ.ბ. თუმანოვი და ს. დათეშიძე, მოანგარიშისა და საქმის მწარმოებლის საკითხის გადასაწყვეტად, აგრეთვე გამგეობის ერთი წევრის ასარჩევად დადგეს ყუთები და დაიწყეს კენჭის ყრა; კანდიდატათ დაასახელეს ყოფილი წევრი გამგეობისა დ. ჩიკვაიძე და ერ. ცქიტიშვილი. კენჭების დათვლის შემდეგ აღმოჩნდა შემდეგი: ბუღალტრისა და საქმის მწარმოებლის თანამდებობის შეერთების მსურველი შეიქნა 93, განცალკევებისა კი 79, დ. ჩიკვაიძემ მიიღო 125 თეთრი და 47 შავი, ე. ცქიტიშვილმა კი 97 თეთრი და 75 შავი; ამგვარად მოანგარიშეთა და საქმის მწარმოებლად დარჩა ისევ ერთი პირი ონ. სვანიძე, გამგეობის წევრად კი არჩეულ იქნა ხელახლად დიდიმ ჩიკვაიძე; დიდიმ ჩიკვაიძემ მადლობა გამოუცხადა ნდობისათვის საზოგადოებას და აღუთქვა სინიდისიერად სამსახური. ნაშუადღევის სამი საათის ნახევარზე კრება დამთავრდა.

**ლადო ბზვანელი.**

## სამართლიანი განკარგულება.

დროთა განმავლობაში იმერეთის ეპარქიის ზოგიერთს ეკლესიებს შეეძინენ მეორე მეორე მედავითნეები, რომელიც თუმც შტატის სამსახურში არ ირიცხებოდნენ, მაგრამ მრევლიდან შემოსავლის მეხუთედს მაინც იღებდენ.

მეორე მედავითნეები მძიმე ტვირთად აწვნენ, როგორც მრევლს,—ისე საეკლესიო კრებულს. ჩვენს ეპარქიაში ძლიერ ბევრს საეკლესიო კრებულს მცირე შემოსავალი აქვს, და ამ შემოსავლის გაყოფა მეორე მედავითნის სასარგებლოდ ხელსაყრელი არ არის ეკლესიის საშტატო კრებულისთვის. ამას გარდა მეორე მედავითნეობას ცუდი შედეგი მოჰქონდა თვით ხალხისთვის: მრავალი ადამიანი შრომას გაურბოდა და ემზადებოდა მეორე მედავითნის თანამდებობის მისაღებად. იმას არ დაგიდევდა, იყო თუ არა მისი თანამდებობა საშტატო და შეეძლო, თუ არა მას სიბერის ჟამს და მის ცოლშვილს მისი სიკვდილის შემდეგ ჰქონებოდა იმედი მცირე რამ პენსიისა მაინც. დღეს რამდენი დაობლებული ოჯახია ღატაკი იმის გამო, რომ ოჯახის უფროსმა აირჩია მეორე მედავითნეობა და სხვა რამ ნივთიერი სახსრის მომცემ ხელობას მოერიდა..

ამ არა სასურველ გარემოებას სამუდამოდ ბოლო მოუღო ყოვლად სამღვდელო გიორგიმ, იმერეთის ეპისკოპოსმა. მათი მეუფება აღარსად ნიშნავს თავის ეპარქიაში მეორე მედავითნეს, სადაც ეს შტატით საჭირო არაა. ხოლო აქამდის მეორე მედავითნეებად გამწესებულებს აძლევს შტატის მედავითნის ადგილს, სადაც კი გათავისუფლდება. ამის მეოხებით ყოფილ მეორე მედავითნეებს ეძლევათ საშუალება შტატის პირველ მედავითნეებად ჩაირიცხონ და თავისი აწმყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მომავალი ცხოვრება ცოტათი მაინც გააუმჯობესონ. მათის მეუფების განკარგულება სწორედ რომ სამართლიანია, და პრესსაც ვალდებულია აღნიშნოს ყოველივე მოვლენა, რომელიც ქვეყნათ სამართლიანობის გამტკიცებას ემსახურება.

**ი. ნებოძირელი.**

## ბიბლიოგრაფია.

1. „გერმანიის საყოველთაო ომიანობის ლექსი გამოც. ალექსანდრე შახბარათოვისა № 204. 1915 წ."
2. „ახალი დრუჟინა და მათი სამშობლოს (თუ მისი?) ლექსები გამ. მისივე № 206. 1915 წ."
3. „ახალი რუსის და თათრის ომი და მოღალატე ასლან-ბეგის ახალი ლექსები. გამოცემა მისივე № 208. 1915 წ."
4. „ახალი ომში გაყვანილ სალდათის ლექსი, შედგენილი ვასილ ერმალოს ძე ბაკურაძისა. გამოცემა მეორე მისივე № 209. 1915 წ."
5. „გერმანიისაგან თათრის დალუპვა. თანამედროვე სახუმარო ლექსები. ა. ორპირელისა. გამოცემა მისივე, № 210. 1915 წ."

უმდაბლესად ვსთხოვ პატივცემულს მკითხველებს წიგნაკთა ზემოთჩვენებული სათაურები გულდასმით გადიკითხოს, რადგან თითოეული წიგნაკის შესახებ ის შეხვდება ჩვენს ბიბლიოგრაფიაში, ანუ წიგნთ განხილვაში, განკერძოებულს მსჯელობას. ჯერ კი მცირე შესავლით მსურს დავიწყო ჩემი განხილვა.

ბოლო დრომდის ქართველს საზოგადოებაში ის აზრი ტრიალობდა, რომ ქართულ ენაზე წიგნს გასავალი არა აქვს, რომ გამომცემლები თვისდა საზარალოთ სცემენ წიგნებს, ვერ ჰყიდიან მათ, და ამ შრომას ისინი ეწევიან უანგაროდ და სხვა... დიდი მადლობელი ვარ ქუთაისის, რომ მის არე-მარეზე შემთხვევითმა ჩემმა მოსვლამ ეს შეხედულება სრულიად გაფანტა... ქუთაისში მოსვლის პირველი დღიდანვე მივაქციე ყურადღება ერთს გარემოებას. ურიის ბიჭები, რაც ძალი და ღონე აქვთ, დილიდამ საღამომდის მაღალის ხმით ქუჩა ქუჩა გაჰყვირიან ამა თუ იმ წიგნაკის სახელს, არ დაგიდევენ იმას, თუ რით ხარ გართული მეგობართან მუსაიფის ჟამს; გვერდზე გაგივლიან და ყურში ხმამაღლა ჩაგძახებენ: „მოღალატე ასლანბეგის ლექსები...ი...ი" და სხვა.. პირველ ხანად ამ გარემოებას ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ თანდათან ჩემს გულში გაჩნდა ინტერესი ამ მოვლენის მიმართ. ვიფიქრე, ალბად აქ კარგი რამე უნდა იყოს მეთქი. ჯერ ერთი, რომ ქუთაისი მართლაც პოეზიის ქვეყანაა. აკაკიმ მას „სავარდო და სამაისო" ქალაქი უწოდა, თუმცა მისი უსუფთაობა არც მაისს შეეფერება. და არც ვარდსა. შემდეგ, მეტი რა გზაა, უნდა გამოვაშღავნო ჩემი ნაკლულევანება: მეტად მიყვარს ლექსები... სწორედ ისე, როგორც თითოეულს ქართველს. კურთხეულ ბუნებას ქართველი ალბად ლექსთა მოტრფიალედ გაუჩენია... და აკი მოვისურვე გავცნობოდი ქუთაისის ლექსებს...

ერთს დღეს, დილით, თეთრი ხიდის ახლოს, სწორედ გაზეთის „Золотое дно"-ს წინ შევაჩერე ურიის ბიჭი, რომელსაც კალათში აუარებელი ლექსის წიგნაკები ეწყო, და ვსთხოვე მოეყიდა ჩემთვის სხვადასხვა სახელწოდების წიგნაკები. იმან ეჭვით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, თითქოს არ სჯეროდა, რომ იმის წიგნაკებს შევიძენდი... მაგრამ მალე დამშვიდდა, როდესაც თორმეტი წიგნაკი შევიძინე მისგან... ამ თორმეტ წიგნაკიდან პირველ ხანად ის ხუთი წიგნაკი ამოვარჩიე, რომელთა სათაურები ზემოთ ამოვსწერე...

ჟინიანი კაცი არასოდეს ვყოფილვარ... ღმერთმა დამიფაროს შური'ძიებისაგან... გასაყოფი ბ. მიხ. შახბარათოვთან, რომელსაც პირადად ვერ ვიცნობ, არაფერი მაქვს... ერთი მოძღვრება ბელინსკისა, ამ უუშესანიშნავესის კრიტიკოსისა, მოსვენებას არ მაძლევს: არცერთი წიგნი, რომელიც საბეჭდავიდამ გამოდის, გაურჩეველ-დაუფასებელი არ უნდა დარჩეს, მაშასადამე, კრიტიკოსმა და ბიბლიოგრაფმა უნდა გაარჩიოს, დააფასოს თითოეული წიგნაკი, რადგან ყოველ წიგნაკს თავისი მკითხველები ჰყავს... რომ ეს მართალია, იქიდან სჩანს სხვათა შორის, რომ ერთს წიგნაკს აწერია ორას მეათე ნომერი... ხუმრობა საქმე ხომ არაა. ორას ათი სხვა და სხვა სახელის წიგნი გამოსცეს ადამიანმა! თითო წიგნაკის თუნდ 500 ცალი რომ გასაღდეს, მაშინ 210 წიგნთაგან გასაღდება ას ხუთი ათასი წიგნაკი,—და თითოეულს ცალზე ათი მკითხველი რომ ვიანგარიშოთ,—მაშინ მივიღებთ ფრიად შესამჩნევს რიცხვსა: ერთს მილიონს და ორმოცდაათი ათასს მკითხველსა... ხუმრობა საქმე ხომ არაა მილიონზე მეტმა ქართველმა რომ ესე თუ ის წიგნაკი წაიკითხოს... კარგი და პატიოსანი!! მაგრამ უნდა ჩაუფიქრდეთ დაღინჯებით იმ გარემოებას, თუ რაგვარს სულიერს საზრდოს იძლევიან ბ. შახბარათოვის წიგნაკები, აქვს თუ არა ამ საზრდოს ღირებულება თავის თავად, განავითარებს თუ არა ეს საზრდო მკითხველის ზნეობრივს და ესტეტიურს შეხედულებას, ხელს შეუწყობს თუ არა იგი საზოგადოდ ერის შეგნების წინსვლას...

ყველა ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პირთათვის, რომელთაც თავისი ერის სიკეთე სურთ.. მე აქ მაინტერესებს შემდეგი გარემოება: ეგრედ წოდებული ინტელიგენცია ფხიზელია წიგნების შეძენის და წაკითხვის საქმეში,—შეგნებულს, გათვითცნობიერებულს მუშებსაც კარგი გემოვნება აქვს საკითხავი წიგნების არჩევაში. დარჩა ამ ორს ჯგუფს გარდა თითქმის ქართველი ერის რვა მეათედი რომელთაც უმთავრეს ნაწილს შეადგენენ შეუგნებელი გლეხები და უსწავლელი ხელზე მოსამსახურენი და მუშების ის ნაწილი, რომელიც მოძრაობის დროს სხვის ფეხის ხმას აყვა და, როცა მოძრაობა ჩანელდა, ჩამოშორდა ხელმძღვანელებსთ ძლიერ ნაკლები ცოდნით და განვითარებით... თითოოროლამ გლეხთა და ამის მსგავს მუშათა შორის წიგნის კითხვაც იცის,—მაგრამ ან არ იცის რა იკითხოს,—და ან განზრახ ეტანება ისეთი წიგნების კითხვას, რომელნიც მათში იწვევენ სხვა და სხვა ძლიერს ეფექტს, უთითებენ ომზე, ქეიფზე, არშიკობაზე და სხვა...

ქართველი ერის სწორედ ხსენებული რვა მეათედის წარმომადგენელნი ძლიერ ეტანებიან ბ. მიხ. შახბარათოვის მიერ გამოცემულ წიგნაკებს... მაჩვენე რაგვარს წიგნს კითხულობ და მე გეტყვი, ვინ ხარ შენ... ესევე შეიძლება ითქვას ამგვარი წიგნაკების მკითხველების შესახებ. ალბათ კითხვის ძლიერ წყურვილი ყოფილა ხალხში დამალული, გამოუზეპირებელი, და შეუგნებელი ხალხი არ დაგიდევს იმას, თუ რაგვარს წიგნს ჰკითხულობს.

ამ მოსაწყენი, მაგრამ—ჩვენის ფიქრით საჭირო შესავლის შემდეგ შევუდგეთ იმ წიგნთა გარჩევას, რომელთა გამო ეს წერილი დავიწყეთ.

**ილ. ფერაძე.**

(დასასრული ხვალ).

## ლადო გზვანელის წერილის გამო.

ბ. ლადო გზვანელი, „სამშობლოს" 53 №-ში მთხოვს, რომ დაუსახელო ის მიზეზები, რამაც გამოიწვია ქართულ მგალობელთა, ჩემი პატარა გუნდის დაშლა, რომელთაც „ორ-სამჯერ იგალობეს ღვდელმთავრის წირვაზე ქუთაისის საკათედრო ტაძარში". ბ. ლადოს ამისი სინამდვილით გაგება იმიტომ სურს, რომ გუნდის წევრები გუნდის დაშლის მიზეზათ თურმე მე მასახელებენ; ამიტომ ვალდებულათ ვთვლი ჩემს თავს აღვიარო, რა გვარათ დაიშალა გუნდი იგი.

ღვდელმა მამა პლატონ ცქიტიშვილმა, რომელიც ჩვენს გუნდში გალობდა, ერთ დღეს, გუნდის სახელით შემდეგი ამბავი მომიტანა: ამხანაგებმა შამოგითვალეს, ახლა ქორიძის გადაღებული გალობაც შეგვასწავლე და ისიც ვიგალობოთო. მე მათ მამა პლატონის პირით სრული თანხმობა შევუთვალე. გამიკვირდა ცოტათი: რატომ პირდაპირ მე არ მითხრეს-მეთქი. ეს იყო და მერმე ისინი ჩემდა გასაკვირათ, ჩემთან აღარ მოსულან. როგორც ვფიქრობ, ზოგს იმათგანს დაეზარა, აღარ უნდოდათ „სპევკაზე" სიარული და მოიმიზეზეს, ის რაც შამომითვალეს და უსასყიდლო შრომას თავი მიანებეს. რომ უარი შემეთვალა, მართლაც თურმე გუნდის დაშლის ბრალი მე დამედებოდა. მე ამას მოვახსენებთ, რომ არც ერთი იმათგანი იმ სიცრუის თქმას არ იკადრებენ, რომ გუნდის დაშლის მიზეზი თვითონ მე ვყოფილიყო, რომელსაც მინდოდა გუნდის თანდათანობით გადიდება და საფუძვლიან ნიადაგზე საქმის დაყენება.

**ლვდ. რ. ხუნდაძე.**

## დაბა-სოფელი.

**დ. ტყიბული.** ამას წინათ გაზეთებშიაც ვსწერდით, რომ ბაზრის დეპუტატები არ ასრულებენ გუბერნატორის განკარგულებას: სავაჭროებს და სახელოსნოებს თავის დროზე არ აკეტიებენ და ალებიებენთქო. ჩვენ განცაადებას სრულიად ყური არ ათხოვეს დეპუტატებმა და ხაზეინებმა და ძველებურათ იქცევიან: როცა მოეპრიანებათ მაშინ გაალებენ და დაკეტენ დქნებს, ამიტომ ნოქარ-შეგირდებმა მიმართეს თხოვნით გუბერნატორს, რომ მათაც ღირსებოდათ განსაზღვრულ დროთი მუშაობა. მაგრამ აგერ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ და მათ მიერ გაგზავნილი თხოვნის პასუხი კი არსად სჩანს. ბოლო დროს გავიგეთ, რომ იმ თხოვნის შესახებ განაჩენი მთავრობას გადმოუცია საწირის საზოგადოების კანცელარიის გამგეებისათვის გამოსაცხადებლათ ნოქარ-შეგირდებისა და მათ ხაზეინებთათვის. მაგრამ ესენი, ხაზეინების ჩაგონებით, ფარვენ ამ განაჩენს და დღესაც სისრულეში არ მოყავსთ მთავრობის დადგენილება. ამიტომ მივმართავთ დასახელებულ კანცელარიის გამგეებს, ვის ხელშიც ჩვენი თხოვნის პასუხია, დაუყონებლივ სისრულეში მოიყვანონ ის, რაც კანონიერათ გვეკუთვნის.

**ქორი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის უახლოებელეს ნომერში შემდეგს: გაზ. „სამშობლო"-ს შაბათის 28 მარტის მე-42 №-ში მოთავსებულია ახალ ამბავში ოკრიბიდან მოწერილი ცნობა, ვითომც ამ ჟამად მანდიკორისა და საწირის საზოგადოებაში გავრცელებული იყოს სახადი და ხრესილის საავათმყოფოს ფერშლებს ბრალსა სდებს მომწერი, ვითომც სამ-სამ მანეთს ახდევინებდენ ამგვარ ავათმყოფთა ნახვაში, რაც შეიცავს შეუწყნარებელ ცილისწამებას და მტკნარ სიცრუეს და შემცდარ შეხედულობაში შეყავს როგორც რედაქცია, ისე მკითხველი საზოგადოება.

პირველი: ოკრიბაში ამ ჟამად არ მძვინვარებს არავითარი გადამდები „სახადი" გარდა ყვავილისა, რაც მტკიცდება იმით, რომ ხრესილის საავათმყოფოს მოსდის ცნობები ყოველნაირ გადამდებ სენით ავათმყოფებისა ყოველ შვიდი დღის განმავლობაში მამასახლისებისგან, სადაც აღნიშნულია მხოლოდ ყვავილი, და ყოველივე ზომები აცრისა და სხვა უკვე მიღებულია.

მეორე: ამ მიმდინარე 1915 წლის განმავლობაში მე არ ვყოფილვარ არავითარ გადამდები სახადით ავათმყოფთან მანდიკორისა და საწირის საზოგადოებაში (მეორე ფერშალი კი გაგზავნილი არის ქალ. ერევანში შავი ჭირის წინააღმდეგ საბრძოლათ, რაც არ ცოდნია ბ. მომწერს, აგრეთვე არ იცის რა ხდება ოკრიბაში და რამდენი რა არის აღსანიშნავი) ვიყავი მხოლოდ 12 და 13 მარტს მანდიკორის საზოგადოებაში სოფელ ჯვარისაში და ოჯალეში ყვავილის ასაცრელად, რასაკვირველია უფასოთ, სადაც იქვე მახლობელ სოფ. ხორჩანაში მაჩვენეს ავათმყოფი ქალი მინადორა გიორგაძისა ფილტვების ანთებით უსასყიდლოთ, რასაც დამიდასტურებს ამავე სოფელში მცხოვრები მღვდელი მ. ყიფიანი, რომელიც იმ დროს იქ ბრძანდებოდა. ყვავილიან ავათმყოფს კი ძალიანაც რომ შეეხვეწონ ფერშალი გინდა ექიმი, არც კი აჩვენებენ; „ბატონების" ეწყინებათ და წამალს სიახლოვესაც არ მიაკარებენ, არათუ გონორარი მისცენ. კერძოთ კი მანდიკორის საზოგადოებაში წამიყვანეს მთელი გასული 1914 წლის განმავლობაში სამს ოჯახში, მაგრამ გადამდები „სახადი" არსად არ აღმოჩენილა, ერთი ამ ოჯახთაგანი გახლავთ კბილის ექიმის ბ. ნოე მხეიძის ოჯახი, სადაც ფილტვების ანთებით ავათ იყო მოსამსახურე ბიჭი. სხვების ჩამოთვლას აქ ეხლა არ ვრაცხ საჭიროთ. ამ მიმდინარე 1915 წლის განმავლობაში ჯერ არავის წავუყვანივარ სრულებით ავათმყოფის სანახავათ ხსენებულ საზოგადოებაში.

რაც შეეხება საწირის საზოგადოებას, წამიყვანეს რამდენსამე ოჯახში კერძოთ, მაგრამ გადამდები „სახადი" არავის შეირგებია, ყველა მათი ჩამოთვლა საჭიროთ არ მიმაჩნია, მხოლოდ ერთი მათგანი გახლავთ საწირის სამინისტრო შკოლის მასწავლებელის ბ. მაქსიმე და მისი ძმის პავლე კუბლაშვილების ოჯახი, სადაც გალახულობით არის ავათ ძმა მათი ხარიტონი, რომელიც ვნახე ორჯერ უფასოთ, რასაც მათ ვთხოვ დამიმოწმონ ამავე გაზეთის საშუალებით.

გარდა ამისა ხრესილში არსებობს კერძო აფთიაქი, რომლის პატრონი პროვიზორი ხალხში არის მონათლული „გამოცდილი ფერშლის" სახელით. დაუავთ ოკრიბის სხვადასხვა სოფელში ავათმყოფების სანახავათ თითქმის ყოველ დღეს და დებულობს ხელსაყრელ გასამსჯელოს. ამ ექიმბაშის მოქმედებას აბრალებენ ხრესილის საავათმყოფოს ფერშლებს და მით დაუმსახურებელ შეურაცხყოფას აყენებენ მათ.

ყველა ზემო აღნიშნულის დამამტკიცებელი უტყუარი ფაქტები ხელთა მაქვს და სხვა ბევრიც. ამიტომ ვსთხოვ პატივცემულ რედაქციას სიმართლის აღსადგენათ გამოამჟღავნოს მომწერის ვინაობა და აიძულოს ის ბოდიში მოიხადოს, უნდა გაზეთის საშუალებით უნდა პირადათ, თუ არა და გამომყვეს სამედიატორო სამართალში. ვადას ვაძლევ დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა ერთ კვირას. მედიატორებს დავნიშნავ მისი პასუხის გაცემის შემდეგ უნდა გაზეთის საშუალებით, უნდა პირადი მოლაპარაკებით და განაჩენი უნდა გამოცხადდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები უწოდო მის საქციელს შესაფერი სახელი.

ხრესილის საავათმყოფოს უფროსი ფერშალი **ილია კოხრეიძე.**

— —

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „სამშობლოში" ადგილი დაუთმოთ ამ მცირე წერილს.

ათს ამა აპრილს ივანე თოფურიას რესტორანში, რომელიც იმყოფება თფილისის ქუჩაზე ერთი უბედურება დამატყდა თავს. როდესაც ზემოხსენებულ რესტორანში სადილი გავათავე და ბაზარში გავიარე [illegible] ერთმა მოხუცმა მღვდელმა [illegible] გაცმა ერთად გზა გადამიჭრეს და შემდეგი წინადადება მომცეს: ანდრია სალოსის წიგნი გამოეცი და ოც მანეთს მოგცემთო. მღვდელს ხელში ეკავა ერთი რაღაცა ძველი დაფხრეწილი წიგნაკი. როდესაც ჩემგან უარი მიიღო, მღვდელმა სამი თუმანი შემომაძლია, მაგრამ მე კიდევ გადაჭრილი უარი ვუთხარი, რომ მე მილიონის გულისთვის არ გამოვცემ მაგისთანა სიგნაკს და არც გავავრცელებ მეთქი, შემომიყვირეს და მომთხოვეს ამეხსნა, თუ რისთვის არ გამოვცემდი ამ წიგნაკს. ვუპასუხე: თუ გამოვცე წიგნი, გამოვცემ ისეთ მწერლების ნაწარმოებთ, როგორც აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ეგნატე შვილის, ტოლსტოის, ვაჟა ფშაველასი და სხვათა ნაწარმოებია მეთქი. ამის გაგონებაზე იმათ ლანძღვა დაუწყეს ჩვენს მწერლებს და ჩემზე საცემათ იწიეს. აღვნიშნავ ამ ფაქტს, როგორც ნიმუშს ზოგიერთ ჩვენი მღვდლებისა და ერის კაცების უკულტურობისა და შეუგნებლობისას.

**დ. ბაქრაძე.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**


გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ.
წ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი
1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 к.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій" 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Цѣлебные минеральные источники" въ Кутаисск. губ.—ფ. 20 კ.

აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.
1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

რუსული დ ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

მოიკითხეთ ყველგან
ახალი ქართლი
გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ
ხუთშაბათობით და კვირაობით
ცალკე ნუმერი ერთი შაური

| დაკვეთის ფასი: | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|
| | 5 მან. | 3 მან. | 1 მ. 50 კ. | 50 კ. |

ხელის მოწერა მიიღება: „ახალი ქართლი"-ს კანტორაში, სამეფო ქუჩა № 15. თფილისში, ივ. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თფილისელ აგენტთან, ვიქტორ მექანარიშვილთან, დუშეთის ქ. № 21.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ
„თეატრი და ცხოვრება"-ზე.
ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართელისა და იოს. იმედაშვილის რედაქციით
ფასი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.
ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი"-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად"-ში, „ცოდნას" წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.
მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да цховреба" Іосифу Имедашвили
რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა


სტრამბეჭდავი სტამბა ა. ი. კოხრეიძისა—ქუთაისში.